

## ბიოგრაფიული მონაცემები

მურმან მარგველაშვილი - ასოცირებული პროფესორი, მდგრადი ენერგეტიკის მართვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ენერგეტიკის და მდგრადი განვითარების ინსტიტუტის დირექტორი.

დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი. საკანდიდატო დისერტაცია თეორიულ ფიზიკაში დაიცვა მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტში 1989 წელს. სამეცნიერო კვლევებს მაღალი ენერგიის თეორიული ფიზიკის მიმართულებით ატარებდა თსუ-ში 1997 წლამდე. სამეცნიერო კვლევითი ვიზიტებით იმყოფებოდა მოწინავე საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში (დუბნა, ტრიესტი, CENN, ფერარის უნივერსიტეტი). 28 წელია მუშაობს საქართველოს და სხვა ქვეყნების ენერგეტიკულ სექტორებში. არის მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი. მრავალი კვლევის, სტრატეგიის და პოლიტიკის დოკუმენტის ავტორი.

გავლილი აქვს საერთაშორისო სასწავლო პროგრამები ფინანსურ აღრიცხვაში, ფინანსების მართვაში, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებსა (ACCA) და პროექტების მართვაში (ESI, PMI) სრულყოფილად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, მაიკროსოფტ ოფისის პროგრამებს.

### პროექტები და პოზიციები:

2013-2024 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ენერგეტიკის მართვის და მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

2007-2024 – WEG დირექტორი და კვლევების ხელმძღვანელი

2017-2024 - საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) EU4Energy პროექტის-ექსპერტი საქართველოში და ყოფილის საბჭოთა კავშირის ქვეყნებში

2014-2019 - ევროკავშირის ენერგეტიკული პროექტების ექსპერტი ცენტრალური აზიის ქვეყნებში

2009-2020 წწ აღმოსავლეთ პარტნიორობი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის აქტიური წევრი და სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი

2011-2012 - ჰიდროელექტოსადგურის პროექტის ფინანსური მენეჯერი

1999-2010 - ეი-ი-ეს თელასის და შპს თელასის პროექტების მენეჯერი და განყოფილების ხელმძღვანელი

1994-1999 – USAID/B&R/Hagler Bailly პროექტების მენეჯერი და მისიის ხელმძღვანელის მოადგილე

### პუბლიკაციები

50 ზე მეტი ანალიტიკური ნაშრომი და ანგარიში და სტატია ენერგეტიკის პოლიტიკის საკითხებზე. მათ შორის:

- საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი
- საქართველოს წყალბადის სტრატეგია
- საქართველოს ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმა NECP: ენერგეტიკული უსაფრთხოების და კვლევა-ინოვაცია-კონკურენტუნარიანობა ნაწილები
- კორუფციის საფრთხეები ენერგეტიკულ სექტორში - საერთაშორისო პუბლიკაცია
- ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლების დახმარება მარეგულირებელი გავლენის შეფასება
- სისტემებით აზროვნება - საწყისები - თარგმანის სამეცნიერო ხელმძღვანელი
- საქართველოს ენერგოეფექტიანობის და განახლებადი ენერჯის პოტენციალის შეფასება და სხვა.

20 მდე საერთაშორისო პუბლიკაცია მაღალი ენერჯიების ფიზიკაში

სამეცნიერო რედაქტორი თარგმანისა - დონელა მედოუსი „სისტემებით აზროვნება - საწყისები“

#### **სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესები:**

- ენერგეტიკის და კლიმატის პოლიტიკა: ენერგეტიკული უსაფრთხოების რეგიონული და ეროვნული ასპექტები, მდგრადი ენერგეტიკა, ენერგეტიკული განათლება.
- სისტემებით აზროვნება და მდგრადი განვითარება. განათლება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.